



ნახ. ა. კანდელიძისა

ატომანია

ამერიკის პოლიტიკანები იფიქრებენ სამი მოკავშირე სახელმწიფოს მიერ სამაშულო ომის დროს მიღებულ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს.

გაზეთებიდან

- ველარც ამ წარწერას ჰხედავთ?
- ვერა ექიმო, თვალეებზე რალაც ბინდი მეკვრის, რალაც ანომალია უნდა მქონდეს!
- თქვენ ნამდვილი ატომანია შეეყრიათ სერ, მკურნალობა გქირდებათ.



ესა და ეს „სველი საქმე“—ისე მშრალად ვერ გაგიკეთებია, რომ სხვებს არ გაეგოთო. ამაზე შელაპარაკდნენ ჩემს ტავერნაში მოსული განგსტერები, ბოლოს საქმე ჩხუბით გათავდა...

— მისტერ მაკ, მე მეგონა ჩვეულებრივ წვრილფეხა განგსტერებზე—ქუჩაბანდების მძარცველებზე ლაპარაკობდი...

— არა, მისტერ ლიტლი ჯონ, არა, მე ვლაპარაკობ მსხვილფეხა განგსტერებზე, ტერსტის ჟურნალისტებზე, საზოგადოებრივი აზრის ბანდიტებზე...

— ო, ისინი მართლაც საშიში ხალხია. ამბობენ—ისინი უბრალო ადამიანების სულს ძარცვავენო, ჩვენს ცხოვრებასაც ურევენ და აფორიაქებენ! მათი გადამკიდე—მუდამ სვალინდელი დღის შიშში ვატარებთ პატარა ცხოვრებას, დამშვიდებით ძილიც კი არა აქვს უბრალო ადამიანს. მეჩვენებ რით გათავდა ის ჩხუბი?

— იმით, რომ ყველაფერი მიღწე-მოღწევს და ბოლოს სამზარეულოში შეცვივდნენ. ერთმა „ცნობილმა“ (აქ ირონიამ სახე დაუღმიჭა ტვისტერს),— „ცნობილმა ჟურნალისტმა“ დენატურატიმ საესე ბოცა გადმოაგდო თაროდან,—რაღაცნაირად ცეცხლი გაჩნდა, ველარაფრით ჩავაქრეთ, ისინი გაიქცნენ და როცა მეზანძღვები მოვიდნენ, ტავერნა უკვე ხანძარში იყო გახვეული.

— საბრალო მისტერ მაკ ცრუსონ, მაშ ისე გამოადის, რომ სულ დამწვარხარ!

— სულ, მისტერ ლიტლი ჯონ, სულით-ხორცამდე დავიწვი. ლუქმა დავეკარგე—გაგზანაგდი.

— მეჩვენებ რას აპირებ? არ მიმართე იმ განგსტერების უფროსს მისტერ ხერსტს, არაფერი აცნობებ?

— როგორ არა, ლიტლი ჯონ, როგორ არ მივმართე.

— მეჩვენებ რა გიპასუხა?

— მიწერ-მოწერამ არ გასჭრა. მეჩვენებ, ერთ-ერთმა მისმა ყაჩაღთაგანმა, ჟურნალისტმა ტომ ლაყაფსონმა მომიწყა ხერსტის ტრესტის დირექტორთან შეხვედრა. მან მომიმინა, ყველაფერი დაწვრილებით გამოამკითხა და როცა გაიგო, რომ განგსტერებს კარგად ვიცნობ—ს.წახურის შემომთავაზა.

— კი, მაკ, მისტერ მაკ, შენ ხომ უბრალო ტავერნის პატრონი იყავი, ერთხელ პატარა საწვრი-მალო დუქანიც ჰქონდა ასეთი კაცი რაში უნდა გამოადგეს საგანგებო ტრესტს?

— მეც სწორედ ასე ვუთხარი, მაგრამ მან სიცილით მომიგო: „შული რატომ გაგტყნიაო,—მითხრა,—განა შენ არ იცნობ ჩვენს მეთაურსაო?“

— როგორ არა მეთქი,—მივუხე,—მისურის შტატში მას ერთხელ ჩემსავით საწვრიმალო დუქანი ჰქონდა მეთქი, ძალიან ჩია და შეზღუდული კაცი იყო მეთქი, სამ სიტყვას ერთად ვერ გადააბამდა, მაგრამ მუშტერების მოტყუებაში მართლაც რომ დახელოვებული იყო მეთქი.

დირექტორმა კვლავ გაიცინა და მითხრა:

— აი, ხედავ, მაშასადამე, ყოველ მეწვრიმალეს ჰეუქლიან იმედი იქონიოს, რომ მას თუ კარგი პატრონი გამოუჩნდა, შეუძლიან მეთაურობას მიაღწიოსო. შენ კი არაო, მითხრა,—ხერსტის კამპანია უფრო დაბალი კუთის ადამიანებსაც წამოსწევს, ისეთ პატრონს გამოაუტახავს, რომ კაცის პოსტზე წამოასკუბოს,—აქ მთელი საქმე იმაშია, თუ მოტყუებას, სიცრუეს, გაიდევრობას კარგად მოახერხებო,—შენ კი ეს საქმე, როგორც მსმენია, გემარჯვებო, ამის გვარიც კი გიმოწმებო, ხა, ხა, ხა, ხა!

— მაშ ისე გამოადის, მისტერ ცრუსონ, რომ შესაძლოა, ერთ მშვენიერ დღეს პრეზიდენტის საარჩევნო სიაშიც კი მოხვდეს, ხი, ხი, ხი-ხი!

— რატომაც არა, თუ მეწვრიმანობა და თალღითობა ამის იმედს იძლევა...

— ო, არა, მისტერ მაკ! მეთაურზე ლაპარაკი არ შეიძლება! მას ისეთი მომჭარბაკებელი პატრონები ჰყავს ულ სტრიტზე, რომ შენ იმას ვერ შეედრები, თუმცა, თუ სიცრუის კარგ ნიჭს გამოიჩენ—შენც შეიძლება დაწინაურდე.

— კი მაგრამ რაზე უნდა ვიცრუო ლიტლი ჯონ, ჩემი ახალი პატრონის გახეობით იმდენს ცრუობენ, ისეთი დახელოვებული გაიდევრებით დაუქსელია მას ქვეყანა, რომ ცუდი ვეღარ მოახერხებს კაცი.

— რატომაც არა. თუ სიცრუის თეზად საბჭოთა კავშირს აიღებ, თუ იმდენ უნარს გამოიჩენ, დღეში ერთი-ორჯერ მარც წაიცრუებ, რომ სარწმუნო წყაროების მიხედვით, რომ საბჭოთა კავშირის წაქეზებით, ალბანეთი ამ დღეებში ამერიკის დაპყრობას აპირებს, შენი კარიერა უზრუნველყოფილია.

— მართლაცა ბრძანებ, მეგობარო, ახლა ამერიკის ბირჟისებში მაგ ყალიბის სიცრუე ყველაზე სარფიანია.

— დიან, დიან, ყველაზე სარფიანი,—ოლონდ ნუ დაივიწყებ, ყოველ ასეთ სიცრუეს უნდა დასძინო:—არქა, ყველა ამის გამო, ატომური ბომბები დაყარეთ საბჭოთა კავშირსთქო. მაშინ სიცრუეს უფრო მეტი დამაჯერებლობა აქვნება.

— გმადლობ ლიტლი ჯონ, მაშ აბა ერთი თითო გისკიც ვხუბოთ და საცდელად ერთად გამოვაცხოთ ცოცხალი ჭორი.

— მაშ ეს შენი ახალი კარიერის სადღეგრძელო იყოს მაკ ცრუსონ, თუ ვინცობაა მალა აიწიო, ნუ დამივიწყებ!

და მეგობრებმა ძირამდე გამოსცალეს ახალი კარიერის სადღეგრძელო.

— თქვენ ძალიან აპირებთ ბარნაბელის როლში!
— რა ვქნა, პაციცემული დირექტორო, ბარნაბელი ხომ სტახანოველია, გადაპარბების გარეშე როგორ იქნება!

მისვარ სკუისონის ახალი კარიერა

მისტერ მაკ ცრუსონს იღბალმა უმტყუნა, მისურის შტატის პატარა ქალაქში, პატარა ტავერნა რომ ჰქონდა, მოულოდნელად დეწვა.

— დალახვროს წმინდა იაკობმა ეს განგსტერები და „სველი საქმეების“ ოსტატები,—შესჩიოდა ის ერთ ძვილ მეგობარს, როცა ტავერნის დაწვის ამბავს უყვებოდა,—შეგროვდებოდნენ ნაშუალამევეს, მოითხოვდნენ ვისკის, სვამდნენ და იყოფდნენ ნაძარცვს, ან აწყობდნენ მეორე დღის მოქმედების გეგმებს და ბოლოს მაინც ჩხუბით ათავებდნენ საქმეს.

— მოიცა, მაკ, რა გეგმებს აწყობდნენ?—შეაწყვეტინა ცრემლმორეულ ცრუსონს მეგობარმა,—განგსტერებსა და ყაჩაღებს რა გეგმები უნდათ?—მათი გეგმა ერთია: გაძარცვონ—როცა ხელსაყრელ ადგილას წააწყდებიან გამგლეფს, გაიტაცონ, წაართვან.

— არა, ჩემო კარგო, შენ ხომ არ გაეიწყდება, რომ ამერიკაში „სველი საქმეებიც“ კი დაგეგმილი აქვთ ბირჟის ტუხუბს, და არამზადებიც თავისი პატრონების მითითებით მუშაობენ. აი, ვსთქვათ, რომელიმე „ბოსმა“, ესე იგი გაველენიანმა საქმის მომჭარბაკებელმა—უოლ სტრიტიდან მოისურვა ბირჟაზე აფორიაქების გამოწვევა, ასე ვსთქვათ, სიტუაციის შექმნა,—მას ხომ წინასწარი გეგმა აქვს, მას ხომ პირველ რიგში „სველი საქმეების“ ოსტატები სჭირდება, დაქირავებული გაიდევრები, ხშირად მკვლელებიც კი.

თვითონ მიუჯდება სიფის გვერდით დადგმულ ტელეფონს, სიგარეტს გაიჩრის და ყურმილში ჩაჭყვს:

— გადავიტო მისტერ ხერსტს: დღეს განგაშია საქირო იმის შესახებ, რომ გვატემლის კუნძულზე მცხოვრები პატარა ტომი განადგურებით ემუქრება ამერიკას და, საერთოდ ცვილიზაციას. საქიროა თავი დავიცვათ... მაშასადამე ატომური ბომბები დავაყაროთ ჩემო-სლოვაკიას და მასთან ერთად საბჭოთა კავშირს... ხერსტის რედაქციებშიც აწკრიალდება ტელეფონები, შემდეგ სადაც ჯერ არს, დაქირავებული ხალხი აწკრიალდება, იმევე საღამოს გახეთქები აჩოჩქთლდებიან, ხოლო ნაშუალამევეს განგსტერები იყოფენ ნადავლს ჩემს ტავერნაში.

— კი, მაგრამ ეგ ხომ პოლიტიკური აქციაა, მისტერ მაკ, მაგას შენი ტავერნის დაწვისთან რა კავშირი აქვს? ჩვენ ხომ პატარა ვაქრუკანები ვართ, პატარა მოსაქმენი. მაგრამ აჯობებს დაწვის ამბავი მითხრა.

— ჰოდა, ჩემი ტავერნის დაწვაც სწორედ ასეთ ამბავს მოჰყვა: ამ დღეებში ასამბლეის სხდომაზე მისტერ ვიშინსკის ჩვენი ბირჟის განგსტერები დაუწომორია: მავანი და მავანი ნომერი „სველი საქმის“ ოსტატი მავან და მავან ბნელ საქმეს აკეთებსო უთქვამს,—ამაზე ულ სტრიტის რომელიღაც ნომერი არამზადას—რომელიღაც ნომერი განგსტერი დაუტუქავს:

ერთი კენჭი და ერთი ხელჩოტი

(ახალი იგავისმეზრი)



ეროვნული
ნიგურთქა

ბებერ კენჭურუს ეყოლა შვილი,
კენჭურუ—ბიჭი იყო—ის ჩვილი.
სულ მამას მგავდა და იმის მსგავსად
აკანტურებდა თათხაც და თავსაც.
მშობლები კალთით დაატარებდნენ,
და ცივ ნიაცხაც არ აკარებდნენ,
ვიდრე პატარა მოჩიტდებოდა
და ქვიდან ქვაზე გადახტებოდა.
მაშინ კი, როცა კენჭურუ-ვაჟი,
მომაგრდა, გახდა მკვირივი—ვით კაჟი,
მამა-კენჭურუმ მიიხმო თვისთან
და ამნაირი პროგრამა მისცა:
— უკვე დიდი ხარ, „კაცად“ სთვლი თავსა
და შენ „ვაჟკაცი“ კენჭურუს მსგავსად,
უნდა შეეწყო მარტო სიარულს,
რომ ბედისწერას—მწარს, თუ მხიარულს—
თვით გაუშკლავდე—დაუნმარებოდა,
უძლური მამის გასახარებლად!—
ამ დარიგებას, მოულოდნელად,
მის უნებურად დაესწრო მელა
და მამის აზრი რომ მოისმინა,
ჯერ უღვაშებში მან ჩაიციანა
და ბოლოს უთხრა—კენჭურუს-მამას:
— თუ ნებას მომცემ, გეტყვი მე ამას:
სცდები მძახლო, როგორცა ვხედავ,
და ერთ შენიშვნას მეც შემოგებდავ:
ძველი ადამი თვით კენჭურუსაც
უნდა მიგაჩნდეს განვლილ ბურუსად,
რადგან ბებერი მამა, ჰაბუკ შვილს,
როცა მოშავლის აძლევს გაკვეთილს,
თვითონვე დაჰყავს კარიდან—კარად
და დაწვრილებით უხსნის მას წყნარად.



თუ რას უნებობენ თეთრსა, თუ შავსა,
ვინ სჩადის კეთილს, ვინ სჩადის ავსა
და ან რაგვარი შმართებს შვილს ვალი,
რომ მან მამისა განაგრძოს კვალი!
— რას ჩმანავ ჩემო მძახლო ამას?
— უთხრა კენჭურუმ,—სთქვი, რომელ მამას
დაჰყავს კარდაკარ უნიჭო შვილი,
რომ მით ჩაუდგას მას სობრძის კბილი?
— მაგალითს გეტყვი—თუ გული გერჩის,
მიუგო მელამ,—ხომ იცნობ ჩერჩილს,
უინსტონ ჩერჩილს—ომების ოსტატს,
რომ ეტანება მუდამ სხვის ბოხტანს
და ქვეყნის შფოთის ატეხვას ლამობს?
ისიც შენსავით ერთ შვილსა შმამობს.
და განსხვავება თქვენში ის არი,
რომ მისი ვაჟის ქკუის ისარი
თავს კოლოფში ცოტა ლაყლაყობს
და ის მამაზე მეტხა ლაქლაქობს,
რომ კიდევ უნდა გაჩადღეს ომი,
რომ ბრიტანეთის ჯანდაგი ღოში
კვლავ დაეუფლოს მათელ დედამიწას!
— მამა ტაშს უკრავს ამ მამლაყინწას
და თან აქეზებს—„ახეო შვილო,
დიდით მახარებს ეგ შენი კილო!“
მას ტაშს უკრავენ ყველა ისინი,
ვინც რომ ახალ შულს სთეხენ ხისინით!

—
კენჭურუმ მელას რა მოუსმინა,
ახე მიუგო, არ მოუთმინა:
—ქოფაკიხავან ვინ ნახავს ბატკანს?
ჩვენ ვერ მივბაძვთ ვერც ერთ იმათვანს,
რადგან ჩერჩილის ქცევას და აზრებს
თვითონ—მგელიც კი აღარ იკადრებს.

ფარსადანი

თაღორაშვილი და ღორები

— მე, ჩემო ძმაო, ბევრი დაცემა და მოტაცება მი-
ნახავს, მაგრამ ამასწინად ჩემმა სიმამრმა რომ ოინი ჰქნა,
ასეთის მომსწრე არა ვარ!

— რა ჰქნა, ბიჭო, ასეთი?!

— გაგაცინებთ!.. იმ უგერგილოს დასცხომია და წუმ-
პეში ჩაგორებულა. ახალ ჩურჩხელასავით იყო ტალახში
ამოვლებული, გზაზე მოდიოდა. ამ დროს ჩვენი კოლმეურნე-
ობის ფერმის გამგე დაუნახავს. არც უცივებია, არც
უცხელებია, ფერმის გამგეს ფეხებქვეშ შესძრომია, ზურ-
გზე მოუგდია და ფერმამდე, თურმე ჰენებით მიუყვანია...

მსმენელები იცინიან და გზაზე ხენეშით მიაბოტებენ.
გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მოსაუბრებებს
გაგაცნობთ: ესენი ყვარლის რაიონის ხოფელ შილდის
ნამღვილი ღორები არიან.

— შარშანდელი მირთმეული დღეს მუცლის ბოძად
არ გამოდგება!—ამბობს ანდახას ერთი მათგანი და
განაგრძობს,—მწყემსებს ხომ გამოვებარეთ, ახლა პრაქ-
ტიკულ საქმეზე ვიფიქროთ, რომელი ყანა ჯობია, სად
უფრო მსხვილი თავთავია?

— ღუბეებისაკენ კარგი ადგილი ვიცით, შესანიშნავი
ძნა დგას!—წამოიძახა ერთმა მათგანმა.

— წავიდეთ!—წამოიძახა ყველამ ერთხმად და ფეხს
აუჩქარეს.

გზაზე ერთ ადგილას ძნების მეთვალყურეებს თაღო-
რაშვილს და შურიულიშვილს წააწყდნენ. მეთვალყურეებს
მშვიდად ეძინათ ყანის პირას. ქუცუნებმა მორიდებულად
ჩაუარეს და როცა გასცილდნენ, მხოლოდ მაშინ ატეხეს
სიცილ-ფხუკუნი.

ღუბეებთან ერთ ყანას შეესივნენ და სანუკვარ ხორ-
ბალს ზრამახრუმი აუყენეს.

მაგრამ მათს განცხრომას დიდი დღე არ ჰქონია:
თოფმა იჭექა და ერთი მათგანი ღორულად დაეცა

ბოროტმოქმედების ადგილზე. თანამონაწილენი გაიფან-
ტნენ და თავს უშველეს.

მცველებმა სახლში წამოათრიეს დაღუპული კული-
გრეხია და, ვინაიდან კარგად იცოდნენ, რომ ასეთ შე-
მთხვევაში პატრონი არ მიაკითხავდა, მცვრიან მწვადებზე
ყბები აამუშავეს. მწვადების განადგურებაში, როგორც ამ-
ბობენ, თურმე, სხვა „მცველებმაც“ მიიღეს მონაწილეობა.

მეორე დღეს კოლმეურნეობის გამგეობაში ასეთი
ოქმი შედგა:


„კოლმეურნეობის № 1 ბრივადის ღუბეებთან არსე-
ბულ ნაკვეთებში შეიჭრა ღორის ფარა ლამის 2-3 საა-
თზე. ყარაულები რომ მივიდნენ, გაიქცნენ ღორები და
მწყემსები. ყარაულებმა შესძლეს ნაწილი ღორის გაჩე-
რება. დაახლოებით 3-4 საათზე ღორის ნაწილი მო-
რეკეს კოლმეურნეობის ახლო და ვერ დააკავეს. ამ დროს
მოახერხეს ერთი ღორის დაჭერა და დანარჩენები გაი-
ქცნენ. დაჭერილი ღორის ცოცხალი წონა იყო 31 კი-
ლოგრამი. სამი დღის განმავლობაში ღორის მეპატრონე
არ გამოჩნდა. შემოაღნიშნული პირების მიერ შემოწმე-
ბულ იქნა ზარალი. ძნების გაფუჭებით შეფასებულია
ზარალი 450 კილოგრამი ხორბალი“.

დაწერეს და ღორების მაგიერ ოქმი დაამწყვდიეს
ბნელ უჯრაში.

კოლმეურნეობა „მესვეურის“ გამგეობას, როგორც
ეტყობა, ოქმის შედგენის მეტი არაფერი აინტერესებს,
მაგრამ ჩვენ გვიინტერესებს ერთი რამ:

რატომ არაფერია ნახსენები ოქმში საცოდავი, „ბან-
დიტი“ ღორის მწვადების გაჩანაგების შესახებ? მართლა
ღორებმა მოასწრეს რამდენიმე წუთში 450 კილოგრამი
ხორბლის განადგურება, თუ ამ საქმეში თაღორაშვილის
და მისი მახლობლების ხელიც ურევია?

წ. სპიროსავილი



— კაცო, ამდენა ნუ ლაპარაკობ, თორემ სიცხეს ავიწევს!
 — რას ამბობ! ლაპარაკი რომ ადამიანს სიცხეს უმატებდეს, ჩვენი კლუბის მომხსენებელს მუღამ ორმოცდაერთი ექნება!

ძველი ჟურნალებიდან

ერთმა კაცმა სასტუმროს კარები დაარახუნა შუალამისას.

— ვინ ხარ? შიგნიდან ჰკითხა პატრონმა.

— თეოფილე ვარ, თათქარიძეს ძმა, გიორგი მოურავის დისწული, თევდორეს სიძე და კნენია ანიკოს ძმისწული.

— უკაცრავად, მაგდენი სულისათვის ალაგი არა გვაქვსო, გამოსძახეს. შიგნიდან და კარები არ გაუღეს.

დღეა არიგებდა თავის შვილსა:

— შვილო, ხელი აიღე ჰაპიროსის წვეისაგან, თორემ სიცოცხლეს შეგიმოკლებსო.

— მაშ მამაჩემი რომ ეწევა, სამოცდაათი წლისა რად არის?

— მამაშენსაც რომ ხელი აეღო, ეხლა ოთხმოცი წლისა იქნებოდა, უპასუხა დარიგებით დედა.

ერთმა კაცმა დაინახა, რომ ერთი ძალი ცუდად ჰყეფდა და სთქვა თავის თავად:

— აი შე უშნო შენა!.. ძალი ვიყო და ეგრე დავიყეფო?

ერთ ხუმარა კაცს საზოგადოებაში დასცინოდნენ და სულელს ეძახდნენ. ამან უპასუხა:

— მე მაინც თქვენზედ ბედნიერი ვარ, თქვენ მხოლოდ ერთ სულელსა ჰხედავთ და მე კი ბარე ექვსი წყვილი სულელი მიდგა თვალთა წინაშეო.

დიდებული მომღერალი ლაბლაში ისეთი საშინელი მოსული და სქელი კაცი იყო, რომ იმის მსგავსი სხვა არ მოიპოვებოდა. ერთხელ ვენაში ლაბლაშმა ეტლი იქირავა სხვაგან წასასვლელად და მეეტლემ ჰკითხა:

— ბატონო, როგორ მიბრძანებთ წაგიყვანოთ, ერთბაშად თუ ორგზადაა?

გასულწლებს სიმინდის მშვენიერი მოსავალი მქონდა. მოახლოვდა თუ არა მოტეხვის დღე, არ ვიცი, რა გორ გაიგეს — თბილისიდან, ოცდაათ კილომეტრზე ნათესავეები მესტუმრენ.

— კაცო, გენაცვალე, გავიგეთ კარგი ყანა გქონია, აბა მართო შენ რას გასწვდები სიმინდის მოტეხვას? მოსახმარებლად ჩამოვედი ჩემი ბავშვებიანად, — მითხრა ერთმა, საკმაოდ შორეულმა მოკეთემ.

— დათესვის, მორწყვის და გათონის დროს მოსულიყავით — უკეთესი იქნებოდა, — უკმაყოფილოდ, მაგრამ ჩუმად ჩაილაპარაკა ჩემმა მეუღლემ.

— სუ ქალო, ყური არ მოჰკრან, — მიგუბრუნდი მე.

— შვილები არ მომიკვდეს, არ ვიცოდით თუ ყანა გქონდათ! თქვენ ბავშვს რომ გუშინ არ ეთქვა ხვალ ყანას ვტეხავთო — ვერც ეხლა გავიგებდით. — მოგვიშაქარტკბილა მეორემ — შედარებით უფრო ახლო ნათესავმა.

— გასალახავია ის ენაქარტალა, რა აყბედებდა? — წაილაპარაკა ისევ ჩემმა ცოლმა.

— სუ ქალო, სირცხვილია, — გუთხარი ჩუმად ცოლს, რომელიც გვერდით მედგა და სიმინდს ტეხდა.

— ჰო, ჩემს კარგ ნათესავს გაუმარჯოს, — მომაძახა ვიღაცამ, უკვე ახლად მოსულმა. შევხედე: ჩემ წინ იდგა ერთობ შორეული ნათესავი, თავისი მეუღლით და ხუთი ბავშვით. ყველას ტომრები და კალათები ეჭირა. მათი შემხედვარე ჩემი ცოლი იქვე ჩაიკეცა.

— გავიგეთ, სიმინდი გქონიათ მოსატეხი, აბა მოყვარე კაცი თუ მოყვარეს გაჭირვებაში და შრომაში არ გამოადგება, რალა მოყვარეა. — განაგრძო მან.

რალა თქმა უნდა აშკარად მლიქვნელობდა.

— აბა გოგო, ერთი ჰყინტი სიმინდი დაძებნე თუ სადმეა, — გადასძახა მან ქალიშვილს.

— ორი ტომარა გავავსო თუ სამი?

— ორი გეყოფა, სამი რა ამბავია? — დატუქსვის კილოთი უპასუხა მამამ ქალიშვილს. ამ სიგნალისთანავე ყველანი კალიასავით შეესიენ ყანას და სამი საათის განმავლობაში უკვე გარჩეული სიმინდი ერთადგილს ეყარა, — დასკვნა შენ გამოიყვანე ჩემო მკითხველო, თუ მოსავლიდგან რალა დამრჩებოდა.

წელს კი უკეთესი ყანა მქონდა.

შარშანდელი გამოცდილების საფუძველზე — ყანას დარაჯი მივუჩინე. სიმინდის მოტეხვის წინაღმეს მოულოდნელად ყანაში გაჩნდი.

— მობრძანდით, მობრძანდით, — მომეგება დარაჯი. ცეცხლი დავანთეთ, ის იყო ჰყინტი სიმინდი გვინდოდა შეგვეწევა, რომ ყანიდან ლაწანის ხმა მოგვესმა.

— ვილაც სიმინდს ამტვრევს, — ჩუმად გადავუჩურჩულე დარაჯს.

— არა ბატონო, როგორ გეკადრება, მაგას ვინ გაბედავს? — დამაიმედა დარაჯმა.

ცხელი, შებრაწული სიმინდი ის იყო პირთან უნდა მიმეტანა, რომ ლაწანის ხმა კვლავ განმეორდა.

— ტყუილად მაინც გაისროლე ეგ მარილით გატენილი თოფი.

— აჰ, როგორ შეიძლება, — მიპასუხა დარაჯმა.

— კაცო, ნუ გაართყვამ, ისე გაისროლე.

— რომ მოხვდეს ხომ დავიღუბე.

— როგორ თუ დავიღუბე?

— ყანაში ჩემი ბიჭია, ერთი-ორი ჰყინტი სიმინდი უნდოდა ენახა. — გამომიტყდა იგი.

რალას ვიხამდი. ყველაფერი ნათელი იყო, დარაჯმა თავისი შვილი „დატუქსა“ და საქმეც ამით გადავდა...

მეორე დღეს, ყოველგვარი მოლოდინის გარეშე, უეცრად თავს დამადგნენ ნათესავეები.


— შარშან მოგენმარეთ და წელსაც რომ არ გიშველოთ, გეწყინება, — ჩამილაპარაკა ერთმა.

— მოვედით, რომ გავიადვილოთ საქმე, — წამოიწყო მეორემ, მაგრამ ვეღარ მოვითმინე, და დაუპატიჟებელ სტუმრებს გაბრაზებული მივუბრუნდი:

— რა გითხრათ იცით? ვისაც სიმინდი უნდა, მას მუშაობაც უნდა უყვარდეს. ყურადღებისათვის დიდი მადლობა, მაგრამ თქვენი დახმარება არ გვესაჭიროება, სიმინდს უთქვენოდაც კარგად მოვტეხავთ.

ნათესავეებს ხმა არ ამოუღიათ, უკანაც არ მოუხედათ — ისე გაეშურენ სადგურისაკენ.

სიმინდი მე და ჩემმა მეუღლემ მოვტეხეთ და მოსავალიც შარშანდელთან შედარებით სამჯერ მეტი მივიღეთ.



კმაო ნიანგო!

ცაგერში გვაქვს პურის კიოსკი, რომელშიც გამყიდველად მუშაობს (ბოდიში, კი არ მუშაობს—თაღლითობს) რამინ გულბანი. ეს ყმაწვილი ისეა დახელოვნებული პურის აწონაში, ერთ გრამში არ მოუვა შეცდომა. ვსტყვით ავიწონათ I კილოგრამი პური, შეამოწმებთ და ზუსტად ცხრაასი გრამი გამოვა—არც მეტი, არც ნაკლები. რამინი იმდენად ხელპარდია, რომ ჩვენს დაბაში კაცი ვერ შეედრება. თვალის დახამხამებაში ახერხებს ტალონის მოჭრას და პურის აწონას. ხანდახან ისე სწრაფად აკეთებს ამ ოპერაციას, რომ ეშლება და მომხმარებელს შემდეგი დღის ტალონს უჭრის. ასეთი შეცდომის დროს, რასაკვირველია, მომხმარებელი მეორე დღეს უპუროდ რჩება და თავს იმითლა ინუგეშებს, რომ რამინი მხოლოდ მას არ ექცევა ასე.

რა იქნება, ძმაო ნიანგო, რომ ერთხელ სოფლის კოოპერაციის გამგეობასაც შეეშალოს და სხვის მაგიერ რამინი მოხსნას?

ალალი

პატივცემულო ნიანგო!

ბევრნაირი ჯამბაზი კი მინახავს, მაგრამ ცაგერის კომერციულ სასადილოში რომ მხარულებია, ასეთი არსად შემხვედრია. კომერციული მოსახრებებით მათ მიერ გაკერძილი საჭმელი 100 გრამს იწონის, ხან 50 გრამს. ეს იმაზეა დამოკიდებული, რომელ მომხმარებელთან რა განწყობილებაში არიან (თუ თეფშე კერძი არ მოჩანს, მომხმარებელი უცნობია, თუ თეფში დაფარულია, მომხმარებელი შინაურია, თუ დიდი ჯამი გაიგოს, მომხმარებელი უფროსია, თუ ქვაბით გაატანა ცოლი ან შვილი!)

ერთი საშიშროებაა, პატივცემულო ნიანგო! ჩვენმა მხარეულებმა რომ სარკეში ჩაიხედონ და თავიანთი ორეულების პატივისცემა მოინდომონ, ჩვენი სასადილო თავის შენობა-ინვენტარიანთ გაქრება!

მართალი

პატივცემულო ნიანგო!

ონში არსებობს ფეხსაცმელების არტელი „ტუფლი“. როგორც სახელწოდებიდანაც სჩანს, ამ არტელმა ტუფლი უნდა შეკეროს, მაგრამ ამ საჭმელში ერთი უბრალო გარემოება უშლის ხელს. არტელს არ მოეპოვება ფეხსაცმლისათვის საჭირო კალაპოტები და მომხმარებელს ავალბებენ იშოვოს სადმე ან გამოთალოს. კალაპოტის გამოთლას კიდევ როგორმე მოვახერხებდით, მაგრამ არტელს არ გააჩნია საპირის შესაკერი მანქანა და არ ჰყავს საამისო ხელოსანი. ამის გამო, „ტუფლმა“ რომ ტუფლი შეგიკეროს—უნდა მოძებნო კერძო ხელოსანი, დაამზადებინო საპირე, წახვიდეს ტყეში, მოჭრა ხე, გამოთალო შენი ფენის სარგო კალაპოტი და თუ გინდა რომ ფეხსაცმელი დროზე გქონდეს, შენ თვითონ უნდა შეკერო. ეს რაღა „ტუფლია“, ამხანაგო ნიანგო!

ჩექმიანი


ბუზები და წამლის ხარისხი

ნახ. ვ. მანჯავიძისა



ბუზი—ვიტრინიდან ჩვენს საწინააღმდეგო წამალს იღებენ, ეტყობა შევოდგომა მოხულა და უსაწამლაოდ დავიხოცებით!

ნახ. ღონისა



ღორი (ფერმის გამგეს)—დავეცადა, შე ოჯახქორო, ჯერ მე გავსუქებულოყავი და სად წავიდოდი, შენს გასუქებას მერც შევიძლებდი.

ხუმარაძის ხუმრობა

ქარელის რაიონის სოფელ წვერის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ითვლება შ. ხუმარაძე. ხუმარაძეს ხუმრობა ისე ძალიან უყვარს, რომ ბევრ ამ სოფელელს სიცილისგან მუცელი სტკივა. განსაკუთრებით კი მუცელი სტკივით კოლმეურნეებს ნ. ბაბუნიშვილს და მ. გოგალაძეს, რომლებსაც კოლმეურნეობის ქათმების მოვლა ჰქონდათ დავალებული და 25 ფრთა ქათამი უმათ შესანსლეს.

აღნიშნული პირების მუცლის ტკივილს დროზე მიხვდა თავმჯდომარე ხუმარაძე და ყოველგვარი ხუმრობის გარეშე ასეთი დადგენილება გამოიტანა:

„ბაბუნიშვილმა და გოგალაძემ გადაიხადოს აღნიშნული 25 ფრთა ქათამი პატარა ვარიებით“.

— რატომ პატარა ვარიებით?—ჰკითხეს ხუმარაძეს.

— შეჭმული ქათმებიც პატარები არ იყვნენ, როცა გამოიჩვენენ?!

— კი, მაგრამ მერე ხომ გაიზარდნენ!

— მერე მაგათი ვარიებიც გაიზარდებიან...

— მოვლა? მოვლა საქმე არ არის?

— მოვლით თქვენ ხომ არ შეგაწუხებენ, ქათმების მოვლა ხომ ბაბუნიშვილსა და გოგალაძეს ევალებათ!—დაასაბუთა ხუმარაძემ.

ამრიგად 25 ქათმის შემმუსვრელები დაუსჯელნი დარჩნენ, რადგან დაღუპულ ქათამთა ქმარშვილსა და მეგობრებს იმდენი ჰკუა არა აქვთ, რომ დამნაშავეებს პასუხი მოსთხოვონ, სარევიზიო კომისიის წევრებს კი, როგორც ირკვევა, ქათმებთან ახლო ნათესაობა ჰქონიათ.

შ. ჯანათელი

მშენებლობა გაიშალა

ტყიბულის მუშახტეთა საცხოვრებელი ბინების მშენებლობა ჩაშლილია, რად იწვევს შახტებიდან მუშახელის დენადობას.

ნან. ი. ბეზუზვილიძე

საქართველო
1947 წლის 10 ივნისი



— ფიცარი მოვიტანეთ—გავშალეთ, ქვიშა გაშლილია, ცემენტი და გაჯი გავშალეთ, ერთი სიტყვით, საბინაო მშენებლობა გაიშალა!

სარედაქციო კოლეგია: ი. ბეზუზვილიძე, კარლო კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. შაშლიშვილი, ვრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 1947 წ. 15/X. ლ. ბ. ზედაძე საბ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28, გამოც. № 101 შუკ. № 1304. ტირ. 7500 შუკ 10500.